

პომიდვრის ბაქტერიული კიბო – *Corynebacterium michiganensis*



სიმპტომები: აავადებს პომიდვრის ყველა ფაზაში - აღმოცენებიდან ზრდასრულ მცენარეებამდე. გვხვდება ყველა ორგანოზე. აღმონაცენი ჭკნება, შავდება და ბოლოს ხმება. მოზრდილი მცენარეების ფოთლებზე ჯერ მოყვითალო გამჭვირვალე ლაქებია, რომლებიც ცენტრიდან იწყებს ხმოვას და ბოლოს შავი სილაქავე ვითარდება. ფოთოლი ჭკნება და ყუნწთან ახლოს ჩამოეშვება. დაავადებულ ყლორტებზე მოთეთრო-ყვითელი ხაზებია, რომლებიც შემდეგ ყავისფერდება, ჭურჭელ-ბოჭკოვანი კონები იშლება. ღერო გამოშრება, ბზარები უჩნდება, თუ ინფექცია ყუნწიდან გადადის ნაყოფზე, იგი ცვენას იწყებს, გაჭრისას შიგნიდან დამპალია, თუ მომწიფებული ნაყოფი დაავადდა, მას ჯერ თეთრი, შემდეგ გაშავებული ლაქები უჩნდება, მოყვითალო არშიით. ავადდება თესლიც.

გამომწვევი: იწვევს ბაქტერია, ხელს უწყობს წვიმიანი და ნესტიანი ამინდები.